საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტრო

პენიტენციური დეპარტამენტი

MINISTRY OF CORRECTIONS
OF GEORGIA

PENITENTIARY DEPARTMENT

MOC 5 17 00143330

23/02/2017

პასუხი: მიზანშეწონილობა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ზაზა სოფრომაძეს**

ბატონო ზაზა,

თქვენი 2017 წლის 09 თებერვლის **N01/8094** წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ N17-ე პენიტენციურ დაწესებულებაში 2013 წლის 9 ნოემბრიდან სასჯელს იხდის მსჯავრდებული **გ იორგი დავითის ძე გოგიძე** დაბადებული 01.09.1937 წელს, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, ნასამართლეობის არ მქონე, მცხოვრები რუსთავი ლეონიძის ქუჩა N16/100, რომელიც გასამართლებულია 02.04.2013 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 108 მუხლით. სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლებით აღკვეთა. 26.07.2013 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ წინა განაჩენი დატოვა უცვლელი. 21.01.2014 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საჩივარი არ იქნა განხილული. 04.03.2016 წლის რისკების შეფასების გუნდის სხდომის ოქმის საფუძვლზე განესაზღვრა სასშუალო რისკი და 07.03. 2016 წელს N8863 ბრძანებით სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. სასჯელის დასაწყისი 12.12.2012 წელი, ხოლო დასასრული კი 12.12.2019 წელი.

N2-ე პენიტენციურ დაწესებულებაში 2014 წლის 08 მაისიდან სასჯელს იხდის მსჯავრდებული **გურამ გალაქტიონის ძე გოგუა** დაბადებული 16.11.1936 წელს, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, ნასამართლეობის არ მქონე, მცხოვრები ჩხოროწყუ დ.აღმაშენებლის ქუჩა N31. გასამართლებულია 27/10/2014 წელს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 141 მუხლით. სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. 23/12/2014 წლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2015 წლის 16 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დატოვა უცვლელი და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის დასაწყისი 08/05/2014 წელი, ხოლო დასასრული კი 08/05/2019 წელი. სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული დასჯილია ერთხელ (სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვისა).

0186, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3, საქართველო
3 Sandro Euli Str., Tbilisi, 0186, Georgia, www.moc.gov.ge
ტელ./Tel.: (995 32) 2312734

ცენტრალური აპარატი / პენიტენციური დეპარტამენტი
დირექტორი
მიხეილ აბაშიშვილი